ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 514

“ 20 ” ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გამზირი დავით აღმაშენებელი, №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.05.027.029), 10 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (საიდენტიფიკაციო №202276321) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (ს/ნ. 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ოქტომბრის №23.1493.1661 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გამზირი დავით აღმაშენებელი, №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.05.027.029), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ამავე განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, 10 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (საიდენტიფიკაციო №202276321) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე